სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მხარდაჭერის შესახებ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

2019 წელი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მხარდაჭერის შესახებ

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკა განპირობებულია იმ ნიშის ძიებით, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაღალ ხარისხს. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევისთვის შესაფერის გარემოს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, რომელიც ზედამხედველობას უწევს სამეცნიერო ღონისძიებებს, კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებსა და პუბლიკაციებს. რექტორის მოადგილე კურირებს ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამებში და სწავლისა და კვლევის ინტეგრირებას.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია ყოველწლიურად გააუმჯობესოს და გაზარდოს კვლევისთვის საჭირო საოფისე ფართი, აღჭურვილობა და უზრუნველყოს შესაბამის რესურსებზე წვდომა. კვლევითი გარემოს უზრუნველსაყოფად აქტიურად მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება, რაც ზრდის უნივერსიტეტის შესაძლებლობას, სრულად დააკმაყოფილოს სტუდენტთა და მკვლევართა საჭიროებები.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ეფუძნება ფაკულტეტების სამეცნიერო რესურსსა და ინიციატივებს. ფაკულტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს უნივერსიტეტის კვლევითი მიმართულების განსაზღვრასა და დაგეგმვაში.

უნივერსიტეტს ჰყავს 64 აკადემიური პეროსნალი, მათგან 59 აფილირებულია. წლების განმავლობაში ისინი ჩართული არიან უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. მონაწილეობენ გრანებში, სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში, აქვეყნებენ სამეცნიერო პუბლიკაციებს, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო, ადგილობრივ და რექსპუბლიკურ კონფერენციებში, ხელმძღვანელობენ დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებელი და მათი კმაყოფილების კვლევა არის როგორც უნივერსიტეტის, ასევე აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი. კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე – აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მხარდაჭერის შესახებ. კმაყოფილების განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

ამ მიზნით მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა ერთობლივი აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შესწავლა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ. ამისათვის მომზადდა ქვემოთ მოცემული კითხვარი. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მხარდაჭერის შესახებ კმაყოფილების კვლევაში ჩართულობა იყო ნებაყოფლობითი, ანონიმური, მაგრამ მნიშნელოვანი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოთხივე - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, იურიდიული, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების აკადემიურმა პერსონალმა. უნივერსიტეტში არსებული 64 აკადემიური პერსონალიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო - 40 რესპოდენტმა ანუ დაახლოებით 63%-მა.





არსებული 40 რესპოდენტიდან - ანუ 100%-დან 60% ქალია, 40% მამაკაცი, ხოლო მათგან 43% პროფესორი, 60% ასოცირებული პროფესორი, 2% ასისტენტ-პროფესორი.



გამოკითხული 40 რესპოდენტიდან - 60% ქალია, 40% მამაკაცი, ხოლო მათგან 43% პროფესორი, 60% ასოცირებული პროფესორი, 2% ასისტენტ-პროფესორი.



კითხვაზე, უწყობს თუ არა ხელს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს სრულყოფას, გამოკითხულთა უმრავლესობამ ≈86% ჩათვალა, რომ „**დიახ**“.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემუშავებული აქვს შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების საკონკურსო დებულება, რომელიც განსაზღვრავს სსიპ სჯსუ-ს შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების წარდგენის, განხილვის, დამტკიცების და მონიტორინგის ზოგად წესს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალს პროექტების გამოვლენასა და დაფინანსებაში.



კითხვაზე, ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო პროექტების/პროგრამების შესახებ, გამოკითხულთა ≈ 74%-მა ჩათვალა, რომ **„დიახ“.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, როგორც ინსტიტუციური განვითარების (CBHE), აგრეთვე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის კუთხთ (ICM). უნივერსიტეტში განხორციელებულია Tempus-ის და Erasmus + -ის პროექტები. ამჯერად მიმდინარეობს ERASMUS+-ის სამი ინსტიტუციური განვითარების პროექტისა და საერთაშორისო მობილობის ორი პროექტის განხორციელება.



კითხვაზე, „რომელი საინფორმაციო საშუალებებით იღებთ ინფორმაციას საერთაშორისო პროექტების/პროგრამების შესახებ“, უმრავლესობამ მიუთითა ინტერნეტი, სჯსუ-ს ვებ-გვერდი, ფეისბუქი, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის ელ.ფოსტა და ნაწილმა პირადი კონტაქტები.



კითხვაზე, „გაქვთ თუ არა უნივერსიტეტისგან მხარდაჭერა თქვენი სამეცნიერო პროდუქციის ბეჭდვაში“, უმრავლესობამ ≈83%-მა აღნიშნა **„დიახ“.**

- საუნივერსიტეტო საზოგადოებას ნამდვილად აქვს მხარდაჭერა და ხელშეწყობა სამეცნიერო პროდუქციის ბეჭდვაში.
- 2007 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო ჟურნალი ,,გულანი“. დღემდე გამოცემულია 21 ჟურნალი. ამჟამად 22-ე ჟურნალი მომზადებულია გამოსაცემად. 2014 წლიდან 2019 წლამდე გულანის სამეცნიერო სესიებში 187 მოხსენებაა წარმოდგენილი დოქტორანტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით;

  აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ გამოიცემა:

✓ ჟურნალი „არავი“ (22 კრებული)
✓ სამეცნიერო შრომების ჟურნალი „ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა“
✓ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ასტრონომია და ასტროფიზიკა“.



კითხვაზე, „როგორ თვლით, რა სახის ტრენინგებია უნივერსიტეტში საჭირო“, უმრავლესობამ ოთხივე პუნქტი ჩათვალა საჭიროდ:

- ელექტრონული სწავლება;

- ინგლისური ენის კურსები;
- სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- კვლევის თანამედროვე მეთოდები.

უნივერსიტეტი პერმანენტულად ატარებს სხვადსხვა სახის ტრენინგებს საუნივერსიტეტო საზოგადოების პედაგოგიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით. ამჯერადაც, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ტრენინგები სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან (საპილოტე რეჟიმში) დანერგვასთან დაკავშირებით.

- **გამოკითხულთა მოსაზრებები**
- **წინადადებები**
- **ინიციატივები სამეცნიერო ღონისძიებების დაგეგმვის მიმართულებით**
- **ინიციატივები აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარების მიმართულებით:**

(შენიშვნა: პუნქტების ნაწილი კრებითია, ზოგიერთი მოსაზრება უცვლელადაა გადმოტანილი)

1. საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციების/ღონისძიებების ჩატარება, სიხშირის ზრდა (დარგობრივი მიმართულებებით);
2. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებთან თანამშრომლობის მიმართულებით უნდა იყოს მუშაობა;
3. საჭიროა არქივებსა და სხვა ოფიციალურ დაწესებულებებში მივლინებები;
4. პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა შიდასაუნივერსიტეტო კონფერენცია სასურველია წელიწადში 2-ჯერ ჩატარდეს, ისევე როგორც სტუდენტური კონფერენციები;
5. „ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ შემუშავდება ერთიანი, საუნივერსიტეტო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც კვლევითი, ასევე აკადემიური საქმიანობა“;
6. „უკეთესი იქნება თუ ღონისძიების დაგეგვმის დროს გაითვალისწინებენ რესპუბლიკის მასშტაბით ერთი ან ორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიწვევას დაგეგმილ ღონისძიებაში. ანალოგიურად სტუდენტური ღონისძიებების დროს. ვფიქრობ, შედეგი უკეთესი იქნება. აიწევს მოხსენებების ხარისხიც და აგრეთვე მომხსენებლის დონეც“;
7. „სასურველია უფრო მეტად განხორციელდეს სამეცნიერო ღონისძიებები რეგიონის პრობლემებიდან გამომდინარე“;
8. საჭიროა დაიგეგმოს ერთობლივი გრძელვადიანი სამეცნიერო კვლევები;
9. „სასურველი იქნება ჩატარდეს ტრენინგი ქართულ ენაში მომზადების პროგრამის პედაგოგებისათვის მეთოდიკის მიმართულებით“;
10. სამეცნიერო სამუშაო შეხვედრების სიხშირე;
11. სამეცნიერო შეხვედრები/თემატური სესია;

12. „უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული პოზიცია მეცნიერების გააქტიურებისა და სახელმწიფო სამსახურში ჩაყენების მიმართულიბით“;
13. სამეცნიერო ღონისძიებები უნდა იგეგმებოდეს ფაკულტეტზე დარგობრივად (სასურველია ჩაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტები და დარგში დასაქმებული საზოგადოება);
14. „აგრარული მიმართულებით საჭიროა ლაბორატორიული აღჭურვილობა“;
15. სამეცნიერო ღონისძიებები წარიმართოს რეგიონის თანამედროვე პრობლემატიკის ირგვლივ ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ ჭრილში;
16. „ჩემი სურვილი იქნებოდა კონფერენციები ჩატარდეს ოთხშაბათ დღეს, ვინაიდან აკადემიური პერსონალის ორი ნაკადი თავს იყრის უნივერსიტეტში სწორედ კვირის ამ დღეს“;
17. „სამეცნიერო ღონისძიებებში მეტი მონაწილეობისათვის მეტი დროა საჭირო, ამიტომ სავალდებულო დატვირთვა უნდა შემცირდეს“;
18. „საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება; თანამშრომლობა უცხო ქვეყნებში მოღვაწე ქართველოლოგებთან (ყველა სპეციალობას ვგულისხმობ), რისთვისაც კარგი იქნება სამივლინებო თანხის გამოყოფა შესაბამისი დასაბუთებით“;
19. „კარგი იქნება თუ ჩატარდება თემატური კონფერენციები სხვადასხვა მიმართულებით“;
20. „მეტი ინიციატივა აკადემიური პერსონალისგან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად“.
21. მეტი ტრენინგი, გაცვლითი პროგრამა, ვორკშოფი;
22. „როგორც ჩემთვის ცნობილია ბევრ უნივერსიტეტში (მაგ.აშშ), კვლევით საქმიანობაში ჩართული არ არის უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი. ის ვინც ჩართულია, იკვლევს სერიოზულ საკითხებს და ვალდებულია წელიწადში ერთი სერიოზული კვლევა დადოს. მან კვლევის შედეგები უნდა გააცნოს საერთაშორისო დონეზე ექსპერტთა ჯგუფს. მოწონების შემთხვევაში, ის იბეჭდება ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად. თან, სერიოზულ კვლევას სჭირდება საკმაო თანხები და დრო. ვფიქრობ, ეს საკითხი საკმაოდ სერიოზულ მიდგომას და დამუშავებას საჭიროებს“;
23. კვლევითი საქმიანობა წარმატებული იქნება მაშინ, როცა პერსონალს ეცოდინება რომ მის საქმიანობას ამოწმებს უცხო პირი. ჩემის აზრით, არ შეიძლება რომ უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომი ტოლფასი იყოს ადგილობრივი კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებულ ნაშრომებისა. მე მგონია რომ თანაფარდობა დაახლოებით **1: 10** უნდა იყოს (პირადად ჩემი შეხედულებაა ასეთი)“;
24. საჭიროა სამეცნიერო მივლინებები;
25. კვლევები უნდა იყოს;
26. საჭიროა მეტი ფინანსური ხელშეწყობა უნივერსიტეტის მხრიდან;
27. „სასურველია მეტი საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების გამოცხადება. ვფიქრობ, კარგი იქნება აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების დაგეგმვა ამ მიმართულებით“.

28. დიალექტოლოგიური ექსპედიციების მოწყობა და შემდეგ სტატიების მომზადება დასაბეჭდად;
29. მჭიდრო ურთიერთკავშირი უნივერსიტეტის სხვადასხვა რგოლებს შორის;
30. სასურველია განვითარდეს სამეცნიერო სამივლინებო პოლიტიკა;
31. „კარგი იქნება, თუ უფრო მეტად ვითანამშრომლებთ კოლეგები ერთობლივი კვლევების ფარგლებში“;
32. „კარგი იქნება უცხოელი მეცნიერების მოწვევა, უნივერსიტეტს აქვს საჭირო მექანიზმები“;
33. „ინგლისური ენის კურსების დამატება, ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი“;
34. „საუნივერსიტეტო განათლებაში ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე მუშაობა, ესაა განათლების მომავალი, რამაც ძველი მიდგომები უნდა ჩაანაცვლოს“;
35. დაფინანსდეს იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება;
36. სამეცნიერო ღონისძიებები უნდა იგეგმებოდეს ფაკულტეტზე დარგობრივად (სასურველია ჩაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტები და დარგში დასაქმებული საზოგადოება);
37. სამეცნიერო კვლევითი მივლინებების დაფინანსება (სხვადასხვა კონფერენციებში/ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის);
38. მოწინავე ფერმერებთან უფრო აქტიური ჩართულობა;
39. დიაგნოსტიკა განხორციელდეს მცენარეთა მიმართულებით, მნიშვნელოვანი იყოს მემცენარეობაში ბიოპროდუქტების წარმოება;
40. „საჭიროა მეტი აქტიურობა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით. ალბათ კარგი იქნება ჩატარდეს საინფორმაციო ტრენინგები თუმცა ახლაც ტარდება, მაგრამ საჭიროა უფრო ინტენსიურად“;
41. უნდა ფინანსდებოდეს მივლინებები არქივებსა და სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო სხვა დაწესებულებებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ;
42. კვლევითი საქმიანობა დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააქტიუროს მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის დასაფინანსებლად გარედან ფინანსების მოზიდვის პოლიტიკა, უნივერისტეტები ითხოვენ იმპაქტ-ფაქტორიან და საერთაშორისო აღიარების ჟურნალებში ბეჭდვას ინტერნაციონალიზაციის მიზნით. რა თქმა უნდა ეს სწორი დამოკიდებულებაა, მაგრამ ნაშრომს სჭირდება თარგმნა, შემდეგ გამოქვეყნება. სტატიების თემატიკასაც გააჩნია, არის თემა, რომელიც უნდა გავიდეს საზღვარგარეთ და გაიტანოს ქართველოლოგიური პრობლემატიკა, მაგრამ არის თემა, რომელიც წმინდა ქართველოლოგიურია და საზღვარგარეთ მისი დაბეჭდვის მნიშვნელობა იმთავითვე განწირულია, არ დაინტერესებს. ეს მხოლოდ ქართელოლოგიურ კველევებს არ ეხება, საზღვარგარეთის ქვეყნების პრობლემატიკაშიც არის საკითხები, რომელთა მიმართ სხვა ქვეყნის მეცნიერებს ინტერესი არ აღეძვრით. ეს გლობალური პრობლემაა და არაა მხოლოდ საქართველოს პრობლემა.
43. ვალდებულების დაკისრება უნივერსიტეტის ეგიდით გამართულ სამეცნიერო ღონისძიებაზე მონაწილეობის შესახებ.

ზოგადი დასკვნები/მიგნებები

აკადემიური პერსონალის მზაობა და სურვილია:

- საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციების/ღონისძიებების ჩატარების სიხშირის ზრდასთან დაკავშირებით;
- მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება სამეცნიერო სამივლინებო პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- ერთიანი, საუნივერსიტეტო გეგმის შემუშავების შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც კვლევითი, ასევე აკადემიური საქმიანობა;
- რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ ღონისძიებებში ერთი ან ორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოწვევა;
- სამეცნიერო ღონისძიებები უკავშირდებოდეს რეგიონის პრობლემებს;
- დაიგეგმოს ერთობლივი გრძელვადიანი სამეცნიერო კვლევები;
- ტრენინგების ჩატარება ქართულ ენაში მომზადების პროგრამის პედაგოგებისათვის მეთოდიკის მიმართულებით;
- მეცნიერების გააქტიურებისა და სახელმწიფო სამსახურში ჩაყენების მიმართულებით უნივერსიტეტის ჩამოყალიბებული პოზიცია;
- სამეცნიერო ღონისძიებები დაიგეგმოს ფაკულტეტებზე დარგობრივად (სასურველია ჩაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტები და დარგში დასაქმებული საზოგადოება);
- მხარდმჭერი მექანიზმების გაძლიერება აგრარული მიმართულებით ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით;
- კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ტრენინგების, გაცვლითი პროგრამებისა და ვორკშოფების შეთავაზება;
- მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება სამივლინებო თანხის გამოყოფით საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის;
- მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება სამივლინებო თანხის გამოყოფით უცხო ქვეყნებში მოღვაწე ქართველოლოგებთან თანამშრომლობისთვის;
- კოლეგების მხრიდან ჩანდეს მეტი ინიციატივა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
- ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება იმ კვლევებისთვის, რომელსაც საერთაშორისო დონეზე ექსპერტთა ჯგუფი მოიწონებს და დაიბეჭდება ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად.
- მეტი საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების გამოცხადება და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება;

აღნიშნული კითხვარით თავი მოვუყარეთ აკადემიური პერსონალის მოსაზრებებს, წინადადებებს, ინიციატივებს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და სამეცნიერო ღონისძიებების დაგეგმვის მიმართულებით.

მიღებული შედეგების გაცნობისას, გამოიკვეთა ზოგიერთი საკითხი, რომლის შესახებაც უნივერსიტეტს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული ხედვა და გაწერილი აქვს პოლიტიკა, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, რომლის შინაარსშიც გამოკვეთილია:

- ✓ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევები არის **ინტერდისციპლინური ხასიათის,** რაც განპირობებულია ასევე რეგიონის თავისებურებით. მაგალითად ონომასტიკური კვლევები, რომელიც მიმდინარეობს ისტორიის, ეთნოლოგიის, გეოგრაფიის და სხვა მეცნიერებათა მეთოდოლოგიისა და კვლევითი შედგების გამოყენებით.

  აგრარული და ეკონომიკური მიმართულებები ქმნის პერსპექტივას ბიოეკონომიკური ინტერდისციპლინური კვლევებისთვის.
- ✓ **სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია**

  სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პრინციპულია, რომ აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო საქმიანობა მოეთხოვება, როგორც მისი დატვირთვის სავალდებულო კომპონენტი. ამ გადაწყვეტილების მიზანია, რომ პროფესორის კვლევის შედეგები გამოყენებული იქნას სასწავლო პროცესში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სადოქტორო საფეხურს, რადგან სწორედ აქ ხდება სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია ყველაზე მაღალ დონეზე. ახალგაზრდა მეცნიერები თავისი კვლევის შედეგს უშუალოდ იყენებენ სტუდენტებისთვის ახალი ცოდნის გადაცემის პროცესში.
- ✓ **აკადემიური პერსონალის კვლევის დაგეგმვა, შეფასების ინდიკატორები, დატვირთვის სქემა.** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია დატვირთვის სქემა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პერსინალისთვის სამეცნიერო საქმიანობის სავალდებულო წილს და ითვალისწინებს სამეცნიერო აქტივობებისა და ღონისძიებათა მრავალფეროვან ჩამონათვალს. უნივერსიტეტის მიერ აღიარებული ღირებულება - თავისუფლება, ამჯერადაც გათვალისწინებულია და პროფესორს ეძლევა შესაძლებლობა, თავისუფლად აირჩიოს სასურველი სამეცნიერო აქტივობები და ისე დაგეგმოს სასწავლო წელი. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ხდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობის ანგარიშის გაცნობა. შესაძლებელია აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების საშუალებით მოხდეს ანაგრიშის ფორმის კორექტირება, რომელშიც წინასწარ იქნება განსაზღვრული პერსონალის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და მათი შესრულების მაჩვენებლები.